K 12.686/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. სულიაშვილი

# უცნაური ნაკადები

სახელგამი

899.962 К-52

დ. ხულიაშვილი

Дубл.
4/137

# უცნაური ნაკადები

К 12.686/2
35 ბ 1613. 70ს.

სახელმწიფო გამომცემლობა
1936

ეროვნული ბიბლიოთეკა

899.962.1—4
ს 94

ა—1

2000

რედაქტორი: ბ. ჩხეიძე
მხატვრული რედაქტორი: ვ. გორგაძე
ტექნიკური რედაქტორი: ა ხ ა ლ ც ი ხ ე ლ ი
გადაეცა წარმოებას 27/V — 35 წ. ფორ. რაოდ. 2.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/X — 35 წ.
წ. ზ. 5×8. ქ. ზ. 72×105. ტირ. 2.000
მთავლიტ. რწმ. № ა — 2113. შეკვ. № 292.

სახელგამის 1-ლი სტამბა, პლეხანოვის პროსპ. 91.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წყალტუბო წარსულში.

გორაკებით შემორკალული გაუვალი ჭალა, ბუჩქებით და დაგუბებულ წყლების ოხშივარით, — ოდითგანვე იქცევდა სოფლიდან სოფელში მიმავალ მგზავრების ყურადღებას.

სუსხიან დილით, როცა მზის სხივები ჯერ კიდევ მთის მწვერვალზე ბზინავდა, ჭაობიან ბუჩქებში ორთქლის კოკონები ირხეოდენ, ქანაობდენ და გამვლელს გაოცებას იწვევდენ...

შეუვალი ჭალა მხოლოდ ერთხელ გადალახეს მწყემსებმა, როცა დაკარგულ კამეჩს ეძებდენ. მათ დიდხანს იარეს ამ ხშირ და ნაკადებით სავსე ბალახიან ადგილში და მხოლოდ მაშინ, როცა წუმპეში ჩაფლული კამეჩი იპოვეს — შეამჩნიეს, რომ წყალი თბილი იყო.

შემოდგომის სუსხიანი დღე იყო და ამ თბილი წყლით თვითონაც მოითბეს გაციებული ხელები, მერე მუხლებამდე ჩაცვივდენ მდინარეში და სხეულში დამატკბობელი ჟრუანტელი იგრძნეს.

ამის შემდეგ მწყესები მუდამ აქ მორეკავდენ ხოლმე თავიანთ საქონელს, წყალში ფეხებს ითბობდენ და ნახირს მწვანე ბალახზე აძოვებდენ. ისინი თანდათან ეცნობოდენ გარემოს და ჰკვირობდენ მდინარეში ამონადენი წყაროების ჩუხჩუხით და მისი გასაოცარი სითბოთი.

ეს თბილი წყლები უცნაური იყვენ თავისი არაჩვეულებრივი თვისებებით! შემოდგომის ცივ დილაზე ნისლის ქულები ლეჩაქების ნაფლეთებად მოეფინებოდა არე-მარეს და მზის ამოსვლამდის თეთრ ტალღებად ირხეოდა...

ხოლო, რაკიღა გრძელი ჩრდილები შემოკლდებოდა, არე მწვანით მოიფინებოდა, ნისლის ქულები გაქრებოდენ და მდინარეები აჟღურტულდებოდენ, მაშინ შემცივნებული მწყემსი-ბიჭები, მთის კალთებიდან და გორაკებიდან თავიანთ საქონლით დაბლობში ეშვებოდენ, საქონელს ხშირ ბალახში მირეკდენ და ერთმანეთთან შეჯიბრით გუბეებისაკენ გაიქცეოდენ; სწრაფად ფეხთ გაიხდიდენ და მუხლებამდის წყალში ჩაცვივდებოდენ. ისინი ამჩნევდენ როგორ ალერსიანად ათბობდა ნაკადი სხეულს და საამო ჟრუანტელის მომგვრელ ნაპერწკლებსაც აფრქვევდა კუნთებში და საკვირველი გამოუცნობი რამ იყო ამ წყლების ხასიათი! მშობლიურ ალერსით გარს ეხვეოდა, ხავერდივით ლბილი ღუტუნით და ჟღურტულით რგვალი თეთრი ბუშტები მუხლთან მიცურავდა და, ზევით რომ ამოვიდოდა, რგვალ ყვავილებათ გადიშლებოდა.

შემოდგომასა და ზამთარში ეს ადგილი მწყესების საყვარელი ადგილი იყო, რადგან მუდამ ბალახით იყო მოფენილი და თბილოდა კიდეც.

ერთ შემოდგომის პირად პატარა მწყემს ბიჭებში ხნიერი, შორიდან მოსული, მწყემსიც შეერია. მას მუხლების და მკლავების სახსრები ჰქონდა დახუთული და, რადგან სხვა სამუშაოს შესრულება არ შეეძლო, ბატონმა მწყემსობა მიანდო, თუმცა ძვლებში გამდგარი ქარებისაგან, თითქმის წართმეული ჰქონდა მოძრაობის უნარი და ჯოგის მოვლაც უძნელდებოდა.

ბიჭებმა რომ მის დახუთულ მუხლებს შეხედეს შე-
ბრალებით დაუწყეს მზერა, მალე დაიახლოვეს იგი,
თავიანთ წრეში მიიღეს და თბილი წყლის გუბეები
შესთავაზეს.

ახლად მოსულმა, ბიჭების დახმარებით, შეხუთული
მუხლები გაჭირვებით ჩაუშვა თბილ წყალში და როცა
საამო ჟრუანტელმა სხეულში დაურბინა, მის მჭმუნვარე
სახეზე ღიმი გამოკრთა. ასეთი ტკბილი, ლბილი და
ამთრთოლებელი იყო ნაკადის ალერსი. მან ვერც კი
შეამჩნია, რომ აკარწახებული შარვალი უსველდებოდა
და დიდხანს პირზე არ სცილდებოდა ღიმი.

— კაი, ბიძია, ახლა ვერ ხედავ როგორ დასველდა
შარვალი?—შენიშნეს მწყემსებმა. მაგრამ შარვალს ვინღა
დაეძებდა — ისეთი ტკბილი, ისეთი საამო იყო წყლის
ბუშტების ჟღურტული!

— მოდი, ბიძია, ახლა ჩილიკაობა ვითამაშოთ!—ნა-
ხევრად ხუმრობით, ნახევრად გამკილავად უთხრეს ახ-
ლად მოსულს.

ხანში შესული მწყემსი ახალგაზრდა ბიჭების ხუმ-
რობას ყურადღებას არ აქცევდა — მას სისხლი უჩხრი-
ალებდა გულში და ტკბილი სითხე სცურავდა სხეულში.

შეყვარებულ ვაჟივით მიისწრაფოდა იგი ყოველ დი-
ლას დაბლობისაკენ და მყისვე თბილ წყლისაკენ ეშუ-
რებოდა. იგი გრძნობდა, თუ როგორ იკლო ტკივილებმა
მუხლებში, როგორ ემატებოდა ძალა კუნთებში და სია-
რულიც უადვილდებოდა. იმასაც ამჩნევდა, რომ მიზეზი
ეს თბილი წყლები იყო. სდუმდა, არაფერს ამბობდა.
სიხარულს არავის უმჟღავნებდა.

მეექვსე დღეს მუხლი გასწორდა.

გული ისეთი სიამით და ამაყობით სცემდა, როგორც
სცემს გული მწვერვალზე ასულ მიზანმიღწეულ ტუ-

რისტისა. მან მუხლებში ძალა იგრძნო და იქით გაიქცა, სადაც ახალგაზრდები თამაშობდენ... მირბოდა, ბალახი უკან რჩებოდა და გაბრწყინებული თავალებით მწყემსებს უმზერდა.

მინდორზე მოთამაშე ბიჭებმა მათკენ მომავალი მწყემსი რომ შენიშნეს, თამაშობა შეწყვიტეს და განცვიფრებით შეხედეს.

— რაა ბიძია აგი! რაფერ მოხდა? აქნამდე გვატყუებდი თუ? — შეეკითხენ ახლო მოსულს.

— არა ძმაო, არა! რავა გატყუებდი! რაფერ მოხდა მეც არ ვიცი! ამ წყალმა მიშველა ალბათ! პირველადვე ჩავედი თუ არა, რაცხა შვება ვიგრძენი. მერე თანდათან ტკივილები შეჩერდა, ჰო და, მაშინ მივხვდი რომ იგი მშველოდა. ამიტომ იყო რომ ნაკადს აღარ ვცილდებოდი!

— უსათუოდ, უსათუოდ ამ წყლის ბრალია! — სთქვა ერთმა ახალგაზრდამ.

— მე სხვა ზომები არაფერი მიხმარია და აბა რა მომარჩენდა!

მწყემსი ბიჭები გარს ეხვეოდენ, მუხლებს უსინჯავდენ, კუნთებს ჩქმეტდენ, მიატრიალებდენ და მოატრიალებდენ. განცვიფრებული თვალებით ათვალიერებდენ...

— აბა, ახლა კი მართლა უნდა ითამაშო! — შესძახეს მწყემსებმა. მოჰკიდეს ხელი, შეანჯღრიეს, ერთმანეთს მიაჯახეს და მერე თამაშობაშიც ჩაირიეს.

— ა, ძმაო! სასწაული თუ გინდა ეს არი! მერე რავა ხტუნავს ვერ ხედავ?

— მე წინადაც ვამბობდი, რომ ეს წყლები უბრალო არაა თქვა, მაგრამ ვინ გიჯეროდა!... — სთქვა ერთმა.

— მეც ქე გამიგონია — საცხა ყოფილა იმისთანა წყალი, წელში მოხრილს რომ გაასწორებს თურმე! მარა

ის კი აღარ ვიცოდი, თუ აქვე იქნებოდა — ჩვენთან, ასე ახლო!...

— ჩვენ სოფელში რო დახუთულია, ის უნდა წამოვიყვანო აქანე, ნახე თუ ისიც არ მორჩეს!...

— მერე როგორ წამოიყვან, რო სიარული არ შეუძლია!

— ურმით, ბეჩა, ურმით!

ეს მოხუციც ჩამოიყვანეს წყალში ჩაუშვეს და, რამდენიმე დღის შემდეგ, იმანაც სიარულ დაიწყო.

ჯერ მახლობელი სოფლიდან მეორე სოფელში, შემდეგ შორეულში და მერე მთელ იმერეთ-გურია სამეგრელოში გავრცელდა ხმა ამ წყლების სამკურნალო თვისებების შესახებ და, როგორც დღეობაზე გამგზავრებული ხალხი, ისე ამ წყლებზე მომავალი გლეხობა — ურმებით, ოჯახებით, ლოგინით და სასმელ-საჭმელით, ზაფხულ-შემოდგომაზე, ავსებდა ნაკადების გუბეებს და ქარებისაგან იკურნებოდა.

ხალხმა მას წყარ-ტიბუ" უწოდა რაც მეგრულად თბილ წყალს ნიშნავს.

სამივე მხრიდან წყალტუბოს გარს შემორტყმია ჰატარა გორაკები. ამ გორაკებზე გაფანტულია მახლობელი სოფლები, თავისი ბროწეულიანი ორღობეებით, კლდოვანი მაღლობებით, ვენახებით, ყანებით და იმერული ლამაზი ეზოებით. ხოლო გორაკების იქით, ჩრდილოეთისაკენ, აყუდებულა მაღალი, შავი მთები.

მრავალ ფერიანი იმერეთის პეიჟაზი, თავისი ტალღებისებური მაღლობებით, ლბილი და დამაამებელი ჰავით, ვენახებით, დობილოებით, ლელვისა და კაკლის ხეებით,

გახლეჩილი ბროწეულებით—თვალს იტაცებს, აგაფრთოვანებს და ერთხელვე შეჩვეულს მუდამ თავისკენ გიზიდავს.

თვით წყალტუბოს აბანოები გობისავით მორკალულ მწვანე მინდორზეა მოქცეული და მოფენილია ჭაობი სქელი ბალახით.

ეს ტაფობი შუაზეა გაბზარული მდინარე წყალტუბოთი, რომელიც იქვე კლდოვან გორაკის გამოქვაბულიდან გამოდის და, თავისი ღრმა კალაპოტით, მდორეთ მიემართება დაბლობისაკენ.

აბანოების გარშემო გაშლილია პარკი. პარკის გაყოლებაზე გაფანტულია ნაკადები, რომელნიც ნელი მსვლელობით, ორივე მხრიდან მდინარეს ერთვიან. თბილი წყაროები გუბეებად გაფანტულია ტრიალ მინდორზე და ცივ ამინდში ზედა პირზე გაფენილი ზეწრები ნელი ნიავისაგან მსუბუქად ირხევიან.

წყალტუბოს გარშემო გორაკებია და ამ გორაკებს ჯილად თავს წამოდგომიან ლეჩხუმისა და სვანეთის მთები, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მას რკალავს სამგორის, ხოლო სამხრეთის მხრიდან—აჭარის მთები, რომლებიც მას ყოველ დილა-საღამოს ამომავალ და ჩამავალ მზის სხივებით ესალმებიან.

დასავლეთისაკენ გობის პირი მომტვრეულია. ამით სარგებლობს მდინარე წყალტუბო, რომ სამეგრელოს დაბლობით შავი ზღვის ტალღებს შეუერთოს თავისი ტალღები. ამ გარემოს თან ახლავს ლამაზი და ბუნებისაგან უხვად დაჯილდოებული ადგილები.

წყალტუბოში სამკურნალოდ მოსული, მის მიდამოებში გაივლის. უკან დაბრუნებული აღტაცებით გადასცემს ამხანაგებს ბუნების საკვირველებათა მოვლენებს—

ეროვნული ბიბლიოთეკა

...„არა, უსათუოდ უნდა წახვიდეთ და თქვენი თვალით ნახოთ.— ამბობს ის აღრფთოვანებული — უნდა ნახოთ მთიდან მომდინარე ნაკადი! როცა მას გაყვებით და მოინდომებთ მის დასაწყისში, — გორაკის ძირში, ცივი წყალი დალიოთ, თქვენი გაოცება საზღვარს გასცილდება, რადგან ნაკადი მთის ძირიდან კი არ გამოდის, არამედ მის წიაღში იკარგება! გახედავთ და გეგონებათ თითქო აღმართზე ამოდიოდეს. ძლივს შეამჩნევთ, რომ დასაქანი წყალს გორაკისკენ აქვს და მის გამოქვაბულში ინთქება, ქვების გროვაში გველივით ძვრება და იმალება...

კიდევ გაივლით და შხუილით შემკრთალი, თვალებს გააფაციცებთ: კლდიდან ჩანჩქერი მთებში ქაფად იღვრება და თეთრი მტვერის კორიანტელს აყენებს.

ქვეით, გზის პირად, ძაბრივით ამოთხრილი დიდი ორმოა, სადაც წვიმების დროს ამღვრეული ნაკადები გროვდება. ძაბრი ივსება, მორგვალებული ტბა ლივლივებს, ხოლო ზაფხულში წყალი ნელნელა მიწაში ისრუტება და რჩება ამოღრმავებული ორმო.

ვენახის ღობესთან მიმავალი დედაკაცი უცბად ჭასავით ამოთხრილ მიწის წიაღში ჩაიმალება. განცვიფრებული მიადგებით ნაპრალს, ხედავთ — დედაკაცი წყლით სავსე კოკით ამოდის ზევით. დააკვირდებით და შეამჩნევთ, რომ თქვენს ფეხებთან მდინარე მოშხუის. ხოლო პატარა ნაპრალიდან დაინახავთ მის ატალღებულ ზურგს, რადგან მიწის ქვეშა წყალი, სრიალით და ქშუილით დაბლობისაკენ ეშურება... ზევიდან ცის ნატეხი დაგცქერით. ანკარა წყლით შუბლს შეიგრილებთ, ხოლო ზეით რომ ამოხვალ დედამიწის სიმხურვალე და თვალმომჭრელი მზის სხივები შეგაკრთობთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახლობელ სოფელ ხომულში არის ძველი ციხის ნანგრევი, ხოლო მის ძირში კლდის ნაპრალი სილრმეში წასულ ღელეს უერთდება. თოკივით დაკლაკნილ ბილიკით ჩახვალ დაბლა და, როგორც ჭიდან, ისე შეხედავ ზევით გაპობილ კლდის ღრუს, ცის ნატეხს, რომ დაგანახვებს. ფეხებთან მიხშუის მიწის ქვეშა უახლოესი მდინარე. იგი ლოდებისა და ქვების ძირიდან ცივი ქარით უბერავს, ხმაურობს და მიჰქუხს...

მინდვრებზე და გორაკებზე მოულოდნელად წააწყდებით გვირაბებს, წყალვარდნილებს, გამოქვაბულ კლდიან გორაკებზე ჩამოკიდებულ მოზრდილ ქვებს. აქვე ნახავთ ყველაზე შესანიშნავ გვირაბს — ეს არის წყალტუბოს სტალაქტიტური გვირაბი. პატარა გორაკის ძირში შავი გამოქვაბული შესასვლელი ბნელად გამოიყურება და ძველებურ ზღაპრულ მდევებისა და ტყის კაცების სადგომს მოგაგონებს.

შიგ რომ შეხვალ—ცივი ჰავა სხეულს სინესტით მოედება. მიწა სველია, ტალახიანი და ლიპი. ჩირაღდნით განათებული კედლები ჩუქურთმებით მოწყობილ დარბაზს წააგავს. თაღიდან ჩამოშვებული მარმარილოს ფერი ჭაღი, თითქო ელექტრონის ლამფების მოლოდინში, მჭიდროდ მიკვრია მორგვალებულ ჭერს. კედლები მოხატულია სხვადასხვა მოხაზულობის, მსხვილი სპილოს ხორთუმებივით ჩამოშვებული, სვეტებით და ჩურჩხლისებურად დაკლაკნილი ლოლუებით.

ზევიდან ჩამოკიდებულან ძუძუს მსგავსი სტალაქტიტები, ქვევიდან კი აზიდულან შაქრის თავებივით წოწოლა სვეტები — სტალაგმიტები.

ჩირაღდნით განათებულ გვირაბში დადიხართ აღტაცებული, როგორც მორთულ და გამშვენებულ ოთახებში და კვირობთ — ეს, საუკუნოების განმავლობაში ბუნების

მიერ მოწყობილი გვირაბი რატომ მეტ ყურადღებას არ იქცევს მცხოვრებლებისას და რათ არის იგი ასე მიტოვებული!...

მთელი ეს სილამაზე თავის ელფერს ჰკარგავს, რადგან შეჰვარტლული ჩირაღდნით განათებული გვირაბი არ სტოვებს მთლიან შთაბეჭდილებას. გონების თვალით წარმოიდგენთ იმ მომავალს, როცა მას სხვადასხვა ფერის ელექტრონის ლამფებით გაანათებენ, ბილიკს გაიყვანენ და შიგ სიარულს სასიამოვნოს გახდიან, მაშინ წარმტაცი და აღმაფრთოვანებელი იქნება ეს სტალაქტიტური გამოქვაბული.

პირველ სასწაულ-მოქმედების შემდეგ, წყალტუბოს სახელი თანდათან გავრცელდა. ზაფხული და განსაკუთრებით შემოდგომა იყო ის დრო, როცა წყალტუბოს აბანოები სამკურნალოდ მოსული გლეხობით ივსებოდა.

გლეხები მიდიოდენ, როგორც დღეობაზე, ურმებით, ოჯახობით, სასმელ-საჭმელითა და ლოგინით. ამ მოგზაურობასთან შეზავებული იყო, როგორც მკურნალობა, ისე დროს ტარება. შემოდგომის მოსავლიანობის მილაგების შემდეგ—დასვენება და ნაცნობ-ნათესავების ნახვა.

აბანოს მიღება ხდებოდა პრიმიტიულად. გლეხები არავის ეკითხებოდენ, არც ვინმე მათ არიგებდა, თუ როგორ, რამდენჯერ და რამდენხანს უნდა დარჩენილიყო აბანოში. ბანაობდა როგორც მას მოესურვებოდა და რჩებოდა გუბეში — სანამ არ მოეწყინებოდა.

თბილი წყლები თავის თვისებებს არავისთვის იშურებდენ და ჟღურტულ-ჩუხჩუხით ყოველ სხეულს ეალერ-

სებოდენ, ეხვეოდენ, ტკივილებს უამებდენ და კურნავდენ.

ასე გრძელდებოდა ათეული წლები.

ხოლო მალე წყლების პატრონმა ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია და აბანოები თავის საცხოვრებელ წყაროდ გადააქცია.

ვინმე გიორგი იოსელიანი, მაღალი, ახოვანი აზნაური, ღიმილით და გულში ტკბილი ღიტინით შეუდგა ამ საქმეს. და თავის გვარეულობიდან პირველმა დაიწყო მზრუნველობა. მან თავისი ტკბილი სიტყვით, მოხერხებით, მოტყუებით, ჩარჩობით და ზოგჯერ მუქარით — ხელში ჩაიგდო თითქმის მთელი წყალტუბო.

აბანოების გარშემო დააგო ორიოდე ფიცარი, რომ ტანისამოსის გახდისა და ჩაცმის დროს ტალახით არ გასვრილიყვენ მოაბანოვეები. შემდეგ დიდი გუბე — დიდი აბანო — შუაზე გაყო ფიცრულით, ქალებისთვის და კაცებისთვის.

აბანოების გვერდით მოსულთათვის ფიცრული შენობა ააგო, ბინების განწესებისთვის და ბილეთების გაყიდვისათვის პატარა კანტორა დააწესა, თვითონ გვერდით მოუჯდა და აბაზიანებით ჯიბე აივსო.

მოსული გლეხობა დიდ აბანოს ეტანებოდა. აბანოში ჩადიოდა ნაყიდ ბილეთით და იქვე, წყლის პირზე სვამდა სოფლიდან წამოღებულ მაჭარს და ისევ გუბეში ბანაობდა საათობით.

გლეხები თავის გამოცდილებით თვითონ არკვევდენ აბანოების თვისებებს. მათ ერთ აბანოს „დიდი აბანო“ დაარქვეს და ეს იყო ყველაფრის გამკურნავი, მას ეტანებოდა დიდი უმრავლესობა. მეორე აბანოს მათ დაარქვეს „თავის ტკივილის აბანო“, მესამეს — „კუჭის წყალი“, სხვას — „კოდის წყალი“.

გიორგი იოსელიანი აბაზიანებს კი იჩხრიალებდა ჯიბეში, ხოლო აბანოების ამშენებლობისათვის კი ნაკლებად ზრუნავდა.

წყალტუბო მაინც იზრდებოდა, ვითარდებოდა, მომსვლელები თანდათან ემატებოდა და რადგან საცხოვრებელი ბინები არ ყოფნიდა — ღამეს ურმის ქვეშ ათენებდენ. გლეხები იქვე ხარშავდენ მოტანილ ღორის ხორცს და იქვე აფიცხებდენ ცეცხლზე ჭადს.

აბანოზე მოსვლას ეძლეოდა დღეობის ხასიათი: აყირავებულ ურმის ქვეშ იწვოდა წვადი, ფიცხდებოდა ხაჭაპური, ტიკიდან ისხმოდა ღვინო და გაისმოდა მრავალჟამიერი.

დიდი აბანოს პრიდაპირ გაშენდა პარკი — ხეივანი.

მივიდნენ ვაჭრები და სამკურნალოდ მოსულ ხალხს მოუტანეს პური, ყველი, ღვინო, ხორცი, სპიჩკა, სანთელი, ნავთი, საპონი და სხვა და სხვა... ამას მოყვა ადმინისტრაცია — ჩაფრები და პოლიციელები. შემდეგ დაწესდა ფოსტა, აფთიაქი და სოფლის კანცელარია.

კიდევ მოემატა საცხოვრებელი ბინები, სახარჩოები და სამიკიტნოები.

იოსელიანი კვლავ აბაზიანებით ივსებდა ჯიბეებს, ხოლო გლეხების ერთად-ერთი კურორტი წყალტუბო ისევ პრიმიტიულ მდგომარეობაში რჩებოდა...

შემდეგში, როცა აბანოებმა თავისი გაიტანეს, და ხალხი დარწმუნდა მის სასწაულ-მოქმედ თვისებაში, როცა ყველგან გავიდა ხმა მისი სამკურნალო თვისებისა— წყალტუბოში სიარული იწყო უამრავმა ხალხმა.

კურორტის მდგომარეობა ისევ იმ პრიმიტიულ ყოფაში იყო და გაუმჯობესებისათვის არავინ ფიქრობდა...

ასე მიდიოდა წლები...

ბურჟუაზიული-მენშევიკურ ბატონობის დროს წყალტუბოს ცხოვრება არაფრით შეცვლილა. იგივე ხალხი მიდიოდა იქ თავიანთ სნეულებათა განსაკურნებლად, ხოლო ძველი მთავრობის „ჩინოვნიკების“ მაგიერ ახლა ახალი საერობო და სამოქალაქო თვითმართველობების მოსამსახურენი ავსებდენ წყალტუბოს წყლების გუბეებს.

უამრავი გლეხობა ზაფხულ-შემოდგომობით კვლავ ურმებით, ლოგინით და სურსათ-სანოვაგით მიადგებოდა აბანოებს და, ქარებისაგან დახუთული, იქ შვებას იგრძნობდენ. კვლავ გიორგი იოსელიანი ფლობდა ამ წყლებს. იგი აღებულ ფულს, ნაწილობრივ თავის მოგვარეებს გაუყოფდა, რომელნიც მუდამ ლანძღვით, ჩხუბით და გინებით ისტუმრებდენ მას და მაინც მის მზრუნველობას ვერ სცილდებოდენ.

1920 წელს, მენშევიკებმა კურორტ წყალტუბოს ნაციონალიზაცია მოახდინეს და იჯარით გასცეს იგი. ამით არსებითად არაფერი შეცვლილა და წყალტუბო იმავე პირობებში რჩებოდა.

მისი ნაკადები კვლავ გუბეებად მიმდინარეობდენ.

ისევ გაჭირვებული გლეხობა, გაჭირვებით იღებდა აბანოებს. ისევ მოუწყობელი აბანოები, ტალახიანი გზები, გაუნათებელი ქუჩები, სამიკიტნოები და სახარჩოები...

ისევ თავადები და ისევ დროიძეები და მკლავაძეები მოდიოდენ აქ, უფრო დროს გასატარებლად, ვიდრე სამკურნალოდ, ამას ემატებოდა ახალი მთავრობის ახალი „ჩინოვნიკები“ და გვარდიელები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წყალტუბო. ღღევანდელი.

მგზავრებით დატვირთული ტრანსპორტის კავშირის ავტომობილი, ქუთაისის მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებს გასცილდება. მაშინ, როგორც ტალღებში მცურავი ნავი, ისე შევარდება იგი იმერეთის გორაკიან აღმართზე და რხევით დაექანება მის კალთებზე. შემჭიდროებული მგზავრები, ქანაობით, ხან ერთ მხარეს გადიზნიქებიან, მუხლებზე დაწყობილ ბოღჩებით და კალათებით, ხან მეორეზე. ავტომობილი მიჰქრის და წყალტუბოს წყლებზე სამკურნალოდ მიმავალ ავადმყოფებს მიაქროლებს.

უეცრად დაღმართზე დაქანებული ავტო, მალე ისევ მაღლობზე ამოცოცდება და მაშინ მგზავრების თვალის წინ გაიშლება საუცხოვო პეიზაჟი მრავალ-ფერიან იმერეთის გორაკებისა. თვალი ვერ ასწრებს აღბეჭდოს ყოველი სილამაზე, ყოველი კუთხე ნაირნაირობისა. ავტომობილი მიჰქრის და უკან რჩება მინდვრიანი ეზოები, ყორით აშენებული ორღობეები, ბროწეულისა და კომშის ტოტებით დაჩრდილული შარა-გზა, ყანები, ვენახები, დობილოები, ჭიშკრები და ფეხშიშველა განცვიფრებული ბავში, ბატების გასარეკად სახრით ხელში...

აგერ უკანასკნელ აღმართზე ამოცოცდა ავტომობილი. მაშინ თვალებგაფართოებული მგზავრები, დაბლობში რომ გაფანტულ თეთრ შენობებს შენიშნავენ, განცვიფრებით ერთმანეთს შეეკითხებიან, —

„ეს არის წყალტუბო?!“

„სად არის იგი, რომელია?“

„ეს არის, ეს!.. აგერ დაბლობში!..“

„აგერ ის თეთრი შენობები რომ მოსჩანს! აი ის, მაღალი ორსართულიანი სახლი, წყალტუბოს სასტუმროა! ქვეით სანატორიუმია, აი, იმ მაღლობზე, დასასვენებელი

სახლი და სულ დაბლა, გაფანტულ ბატებივით რომ ჩაჭოქილა, ეს თვით აბანოებია.

შემჭიდროებული, ძალზე დატვირთული ავტო დაბლობისკენ მიჰქრის. მგზავრების გულები აფეთქებულია, თვალები გაბრწყინებული. ქვეით კი, ტრიალ მინდორზე, თეთრი ბატებივით გაფანტული შენობები თითქო მოძრაობენო, ხან ერთმანეთს მიეფარებიან, მერე ისევ გამოჩნდებიან, დაიმალებიან, ბრუნავენ და ადგილს იცვლიან...

დალმართზე დაქანებული ავტო რხევით გაიქროლებს ასფალტიან ქუჩაზე და გვერდით მიიტოვებს სანატორიუმის თეთრ შენობებს, ხეებით შემომწკრივებულ ბაღს და პატარა მოედანზე შეჩერდება.

მაშინ ჯდომისაგან დაღლილი და მუხლებში მოკეცილი მგზავრები, ჯერ წამოდგებიან, გასწორდებიან, კალათებს ხელში მოიმარჯვებენ და ავტომობილიდან ჩამოცვივდებიან, ბარგით ხელში. მოსულები სხვადასხვა სანატორიუმებისაკენ, სასტუმროებისკენ და დასასვენებელ სახლებისკენ გასწევენ. აქ წარუდგენენ ისინი თავიანთ მოწმობებს და საწოლი ოთახის და საცვლების მიღების შემდეგ გარეთ ეშურებიან...

ყველა ჩქარობს, ფაციფუცობს, ესწრაფვის მალე დაბინავდეს და გაიგოს ამ წყლების საოცარი თვისებანი. ეშურება წყლების იდუმალება მალე გაიცნოს, დაისვენოს, ნერვები დაიმშვიდოს და ტკივილებისაგან განიკურნოს. ამიტომ მირბიან, გზაში ადრე მოსულებს რომ შეხვდები, ან,პირსახოცებით და ზეწრებით ხელში, შურიანი თვალით შეხედავენ მათ და რომელიმე ნაცნობს შეეკითხებიან აბანოების მიღების წესრიგს.

ცნობის-მოყვარეობით იკითხებიან. —

„არის აქ ფოსტა? არის კოოპერატივი? არის გაზეთები?

გებულობენ, რომ ეს ყველაფერი არის.

„ეს რა შენობაა?

„ეს პოლიკლინიკაა!

„ესენი?

„სანატორიუმებია!

„იქ, გალმა რალა შენობაა?..

„ის ცაკის დასასვენებელი სახლია! ეს დიდი შენობა, ხომ იცი, სასტუმროა! ეს კიდევ კურორტის სამმართველოა!..

„რამდენი აბანო მოქმედებს ახლა აქ?

„ხუთი!.. ეს ყველაფერი გაშენდა ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში! ბელადი იყო აქ, ჩვენი საყვარელი დიდი ბელადი — გებულობენ ახალ მოსულნი — მან მიუთითა ამხანაგებს კურორტის დიად მშენებლობაზე და ახლა, ხომ ხედავთ, როგორი ალმშენებლობაა ფეხმოკიდებული!

აგერ, ეს მდინარე ღრმა კალაპოტით რომ ჩაუდის **გვერდით თბილ ნაკადებს, წვიმების** დროს ტალახიანი რუებით ივსება, კალაპოტს სცილდება და აბანოებში შემოდის თავისი ცივი ტალღებით. მაშინ თბილი წყლებიც თავის თვისებებს კარგავენ: იმღვრევა და საბანაოდაც მიუღებელი ხდება.

ახლა კი მდინარე არხში წავა, თბილ წყლებს გვერდით მოუვლის. მეორე მხრითაც ამნაირივე არხი წვიმის რუებს ააცდენს აბანოებს. მაშინ თბილი ნაკადები დაცული იქნება წვიმების გამო ადიდებულ მდინარის შემღვრევას და თბილი და ანკარა ნაკადი როდი-ღა გააცდენს საბანაოდ მოსულ ავადმყოფს!

აი, ამ პარკში მოთავსდება კიდევ მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მეცხრე აბანოები. გამოყენებული იქნება

თბილი წყლების ყველა წყაროები. პარკის გარშემო ჯერ გამრავლდება სანატორიუმები, გლეხთა სასახლეები და სასტუმროები....

ახლად მოსულნი, ჯერ კიდევ პირველი შთაბეჭდილებით გაბრუებულნი, ვერ ამჩნევენ წყაროების გარშემო გაფანტულ მუშათა საცხოვრებლებს. ეს კი დიდი გარდაქმნის და დიდი მშენებლობის მომასწავებელია! ორი არხი, აბანოებს რომ რკალივით ერტყმის, წვიმების დროს ამღვრეულ მდინარისაგან დაიცავს. აბანოები მოექცევიან ბილიკებით ლამაზად დაყოფილ ხეივნიან პარკში. გარშემო კი თეთრი შენობები — სანატორიუმები, კლინიკები და სასტუმროები, თავს მოუყრის სამკურნალოდ ჩამოსულ საბჭოთა მოქალაქეებს. სულ მოკლე ხანში წყალტუბოს არეში შემოვა რკინის გზა და მისი მიდამო შეირხევა ორთქლმავლის ყვირილით.

აგერ იქით, აი, იმ დაბლობისაკენ, პატარა გორაკის ძირში აიგება წყალტუბოს რკინის გზის სადგური.

იზრდება და ვითარდება წყალტუბო.

ყველას ყურადღებას იპყრობს დიდი, ოთხსართულიანი სასტუმრო, მის გარშემო მთელი დღე მზე ტრიალებს და ამაყად დასცქერის მთელ წყალტუბოს!

ქვემოთ, რიგზე ჩამწკრივებული სანატორიუმები, მაღლა გორაკზე სამსართულიანი შენობა — პროფკავშირების სანატორიუმია. იქით,—ცაკის დასასვენებელი შენობაა ამ დიდ ჭუჩაზე კოოპერატივი, კიდევ საქვაჭრობის მაღაზია, სასადილო და სხვა...

სამკურნალოდ მოსულნი, ახლა უმთავრესად მუშამოსამსახურენი არიან. ესენი ავსებენ ჟივილ-ხივილით აბანოების გუბეებს და ორი კვირის განმავლობაში წყალტუბოს ნაკადებით ტკბებიან და იკურნებიან. სხვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სხვა მხრიდან მოსული მუშები დასვენებულ-განკურ-ნებული კვლავ თავიანთ სამუშაოს უბრუნდებიან.

აბანოს წყლები კი ისეთი თბილია და ისეთი ტკბილია, რომ ამოსვლა აღარ გინდა! ჟღურტულით უვლის მისი ტალღები სხეულის გარშემო და თეთრი ბურთები, ღუ-ტუნით რომ ამოცურდება დაგუბებულ წყლის ზედა პირზე, ყვავილივით გაიშლება.

დამატკბობელ სითბოს ველარ სცილდები და, როცა ოცი წუთი გაივლის, არ გჯერა, არ ერწმუნები, თუ ასე მალე გაივლიდა საბანაოდ დანიშნული დრო და გე-ზარება ამოსვლა...

აბანოში საკაცით მოყავთ მუხლებ დახუთული ავა-დმყოფი. ორი სანიტარი იმას ტანთ გახდის და წყალში ჩაუშვებს.

„ეშველება რამე? ნუთუ გაიკურნება“? — კითხუ-ლობენ მოსულები.

„როგორ არა! ჩემი თვალით მინახავს! შარშან რომ აქ ვიყავი, მაგისთანა ავადმყოფი მოიყვანეს, ოთხი თუ ხუთი დღის სიარულის შემდეგ, საკაცეს თავი მიანება და ყავარჯენით მოვიდა, ხოლო კიდევ რამოდენიმე დღ-ს შემდეგ ყავარჯენიც მიატოვა და ჯოხით დაიწყო სია-რული. წამოსვლისას კი ჯოხს ხელში ათამაშებდა და ამბობდა — „ახლა წყალტუბოს ვერავინ მომაშორებს და ყოველ წელს აქ ვივლიო“...

ორი კვირით შვებულებაში მოსული მალაროელი მუშა **გარშემორტყმულია ყოველნაირი მზრუნველობით: ბი-ნით, კვებით და აბანოებით.** აქ ის ეცნობა სხვადასხვა მხრიდან მოსულ მუშებს და მათთან ერთად საერთო საც-

ხოვრებელში ატარებს დროს. მისი გული სიამაყით სავსეა, რადგან იცის, რომ ყველაფერი ეს მისი შრომის ნაყოფია და ახლა მასაც ხვდა წილად ამ მიღწევით თვითონაც ისარგებლოს.

ორიოდე დღის შემდეგ მას დაუახლოვდებიან და დაუმეგობრდებიან მასთან ერთად ოთახში მოთავსებული ამხანაგები და ინტიმური გრძნობით შეკავშირდებიან. ისინი ერთად მიდიან აბანოში და ერთად სხდებიან სასადილოში. საღამოს, ვიდრე დაიძინებდენ, ერთმანეთის წარსულს, თავგადასავალს და ოჯახურ მდგომარეობას ეცნობიან.

მაშინ გულწრფელია ყოველი მათგანი.

ამაყობით ერთმანეთს პირად ცხოვრების ამბებს გადასცემენ.

ჭიათურიდან მოსული მაღაროელი მუშა, ძველი პარტიულია. იგი ამაყობს იმით, რომ 1905 წელს, იგი კობას—სტალინს იცნობდა და მასთან ერთად, მისი ხელმძღვანელობით, მენშევიკებს ებრძოდა.

ეს ამბავი მას სხვის თვალში ამაღლებს და ისიც გულზვიადათა მოყვება ხოლმე სტალინთან შეხვედრას, გაცნობას და მენშევიკებთან ბრძოლას.

მეორე ამხანაგი საინტერესოა იმით, რომ ობლად დარჩენილმა, თავის შრომით და უნარით, სხვების დაუხმარებლათ, თვით გაირკვია ცხოვრების გზა და ახლა ორთქლმავალის მემანქანეა. იგი უპარტიოა, სინდისიერი და პატიოსანი მუშაკი, მუდამ მხიარული და ცხოვრებით კმაყოფილი.

მას ანეგდოტების გადმოცემა ეხერხება. ხშირად გარს შემოერტყმიან და არის სიცილ-ხარხარი.

მესამე — ქართლელი კოლმეურნეა. ამხანაგებთან კარგ განწყობილებაშია და მათ არ სცილდება, არც აბა-

ნოში, არც სასადილოში და არც სადმე გასეირნების დროს.

მეოთხე ახალგაზრდა — კომკავშირელია.

ოთხივე ერთ ოთახში ცხოვრობს. როცა ისინი აბანოში წავლენ, მათ თან მიყვება მთელი წყება ამხანაგებისა, რადგან ყველას უნდა ანეგდოტისტ მემანქანესთან ახლო იყოს და ანეგდოტები მოისმინოს.

ხოლო აბანოში შესვლა ჯერ ადრეა, პირსახოცით მხარზე გადაგდებული დამსვენებლები ხეივანში დასეირნობენ, გრძელ სკამზე დამსხდარან და საუბრობენ. მაგრამ აქ რაღაა ხეივნის ბოლოში, სკამების გარშემო რომ დამდგარან და რკალი გაუკეთებიათ?...

იქით ესწრაფვის ყველა. წრეს ეტანებიან. რკალი ფართოვდება. ვინმე აჩქარებული მას გაარღვევს და მაშინ იმას თვალწინ წარმოუდგება, გრძელ სკამზე მჯდარი, ბრმა მომღერალი მოხუცი, ჩონგურით ხელში.

გამხდარი, მაღალი ტანის ხოსია ერთ დროს ფირალად ნამყოფი, ახლა, ამ მოხუცობის დროს, ზაფხულსა და შემოდგომაზე წყალტუბოს ეწვევა ხოლმე და თავის ლექსებით მოსულებს ართობს, მისთვის არავინ იშურებს მანეთებს და ისიც, ჩონგურზე დამღერებით, ყვება წარსულ დროთა ამბებს.

ხოლო ხოსიამ ერთი ეროტიული სიმღერაც იცის და მსმენელებიც ხშირად ამ ლექსს მოსთხოვენ ხოლმე.

— ხოსია, ხოსია! ერთი რძალ-დედამთილის ამბავს მოყევი!...

შეუკვეთავენ აქეთ-იქიდან. მაშინ სკამზე მსხდარი ქალები წამოიშლებიან და ყურში თითებ დაცული აქეთ-იქეთ გარბიან...

ახალგაზრდები კი ლექსით მხიარულდებიან, იცინიან და ხოსიას აქეზებენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბანოში შესასვლელი დროც მოახლოვდა, რიგი მოდის, რიგი მიდის.

პირველი ნომერი აბანო ყველაზე დიდია. უმრავლესობა იქით მიეშურება, ხოლო ჯერ აბანო მზათ არ არის. მოსამსახურენი და მოწყალების დები მას ასუფთავებენ, აბაზანიდან წყალს უშვებენ, ახალს აგუბებენ, ჰგვიან, სწმენდენ. მაგრამ კარზე მოწოლილი ავადმყოფები იჩქარიან — ყველას უნდა აბანოში ადრე ჩავიდეს, მოხერხებულ — მიჩნეულ ადგილზე გაწვეს და ამიტომ შექუჩებულან და ერთმანეთს აწვებიან. ზოგი იგინება, ილანძღება; ზოგი ხუმრობს და განზე გამდგარი შექუჩებულებს დასცინის, რომელიმე დაბალი ტანის ავადმყოფი, შეკრულ წრის მხრებსა და მუხლებში, უმწეოდ მოძრაობს...

კარი რომ გაიღება, შემჭიდროებული მხრები ერთი წამით გასასვლელში გაიჭედება და, როგორც ფარეხში შესვლის დროს ცხვრები, ისე შემსვლელნი გრძელ დერეფანში ერთმანეთს ახტებიან, მირბიან, ძირს ეცემიან და, გასახდელი ადგილის დასაკავებლად, ერთმანეთს ედავებიან.

გაშიშვლებული ტანით ავადმყოფნი აბაზანაში ჩაეშვებიან. დაწყნარებული, კედლებში მოქცეული თბილი წყალი, ცოტა ხნით ამოძრავდება, ტალღებს გაიკეთებს და ორთქლით სავსე დარბაზიც ახმაურდება. ხოლო როცა ყველაფერი დამშვიდდება, მაშინ წყლის ზედა პირზე გამოჩნდება აქა-იქ გაფანტული, გარინდული ქოჩრიანი თავები, ხოლო აუზში ჩაშვებული სხეული, წყლის ოდნავ რხევასთან ერთად, ხან გაგრძელდება და ხან ჯირკივით შემოკლდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალ ნაკადის თბილი წყალი ტიტველ სხეულზე თავის სასწაულთ-მოქმედებას იწყებს. თეთრი წვრილი მძივი ბუსუსებათ კანს ეხვევა. ლბილი, თბილი წყალი სასიამოვნო ჟრუანტელ მომგვრელი ალერსით გარს გევლება, გამშვიდებს, გაწყნარებს.

აუზში წამოწოლილი ფიქრებშია გართული და წყლის უებრო თვისებით აღფრთოვანებული...

ხოლო სიწყნარეს მალე კარზე კაკუნი არღვევს და მოისმის — „ხუთმეტი წუთი!“..

„ნუთუ?განა ეს შესაძლებელია? როგორ გაივლიდა ასე მალე 15 წუთი!... არა, ალბათ შეეშალათ!...“

და ის, ვისაც ხუთმეტი წუთი აქვს დანიშნული, წყლიდან ზანტად ამოდის და დერეფანში გადის ტანისამოსის ჩასაცმელად.

ცოტა ხნის შემდეგ კვლავ გაისმის — „ოცი წუთი!...“

ზლაზვნით, ნელი ტემპით, ცურვით, ლაზღანდარობით ამოდიან აუზიდან დანარჩენები და ახლა კი აუჩქარებლად და ანეგდოტების მოყოლით დასასვენებელ ოთახში გადიან, მერე კი ჯგუფებად პარკში დასეირნობენ...

ტრიალ მინდვრად დაცემულ პარკში, მდინარე წყალტუბოს ორივე მხარეს, გაფანტულია აბანოების დმთავრებული და ზოგიც დაუმთავრებელი შენობები.

დიდი აბანო, ანუ აბანო ნომერი პირველი, ყველაზე პოპულიარულია. იგი ხეივნის პირდაპირ, როგორც ბატი დაკეცილი ფრთებით, ისეა ჩამჯდარი დაბლობში. ვიდრე თვით აბაზანაში შეხვიდოდეთ, თქვენ მოხვდებით მოსაცდელ ოთახში, სადაც სუფთა და გადაფარებულ გრძელ მაგიდაზე აწყვია გაზეთები. ამ ოთახიდან გახვალთ გრძელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დერეფანში, ტანისამოსის ჩამოსაკიდებელით და საჯდომებით რომაა დაყოფილი. ხოლო აქედან უკვე ჩახვალთ წყლით სავსე მოზრდილ აუზში. მის სიღრმეში ჩაყრილია მსხვილი ხრეში და ზედ მოფენილია თლილი ქვა. ნაკადიც ამ ნატეხ ქვების სიღმრიდან მოჩუხჩუხებს და თეთრი ბუშტებით და ღრუტუნით ავსებს დიდ აუზს.

ნააბანოების შემდეგ აუზი დაიცლება და კვლავ ნახევარი საათის შემდეგ — ვიდრე ერთი წყება ჩაიცვამდეს და მეორე გაიხდიდეს — აივსება ახალი ნაკადით.

ამნაირადვეა მოწყობილი მეორე ნომერი აბანო, ხოლო იგი პირველზე გაცილებით ნაკლებია, მესამე ნომერი კი სულ სხვა სისტემაზეა აგებული. აუზები აქ ყველა მოაბანოესათვის ცალცალკეა და ნაკადსაც მაშინ მოუშვებთ, როცა შიგ ჩაწვებით. ეს აბანო სახელგანთქმულია, რადგან ძალიან უხდება ნერვიულ ავადმყოფებს.

მესამე აბანოს დასავლეთ მხრისაკენ არის მაღალი თეთრ-კედლებიანი ჰიგიენური აბანო, ხოლო მის გვერდით—ძველი, ჯერ კიდევ გამოუყენებელი, მეექვსე აბანო, რომელიც ყველა აბანოზე დიდია. იგი ჯერ კიდევ არაა ამოვსებული ხრეშით, ღრმაა და მდინარეთ ქცეული, წყალტუბოს ერთვის.

სულ წინათ ამ აბანოში ავადმყოფები თოკების საშუალებით ბანაობდენ. მის ზედა პირზე გაბმულ თოკს აქეთ-იქით ნაპირებზე დაამაგრებდენ და ავადმყოფიც მას გაყვებოდა ჯამბაზივით ხელებით ჩამოკიდებული და წყალში იმყოფებოდა ვიდრე არ დაიღლებოდა.

მეოთხე ნომერი და იქვე მის გვერდით „კუჭის წყალი“ ყველაზე პატარა აბანოა.

ხოლო იქვე, ახლო, მდინარეს მეორე მხარეს, არის ჯერ კიდევ გამოუყენებელი ნაკადი, რომელსაც გლეხებმა „თავის ტკივილის“ აბანო დაარქვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ წყალტუბოში სამასამდე ნაკადია.

ამ ნაკადულებით სახელგანთქმული წყალტუბო უთუოდ მსოფლიო მნიშვნელობის კურორტია, მისი გამოკვლევა, მისი სიდიადე და მშენებლობა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს განვითარდა, ხოლო ვინ მიაქცია ამ სასწაულ-მომქმედ წყლების თვისებებს პირველად ჯეროვანი ყურადღება—არავინ იცის! მხოლოდ გასაბჭოების შემდეგ წამოვიდენ ამ კურორტზე ექიმები, მეცნიერები და შეისწავლეს ამ წყლების ადამიანზე მოქმედება.

წყალტუბოს წყლების განსაკუთრებული და შესანიშნავი თვისება არის ის, რომ მას გათბობა არ სჭირდება. კაცის ხელი არ ეკარება და ავადმყოფი უშუალოდ იღებს მას იმნაირს, როგორიც ამოდის მიწიდან.

კურორტის წყლები მსუბუქად მინერალიზებული წყლებია, რადიაქტივის თვისებებით. მათ მუდამ ერთი ტემპერატურა აქვთ, როგორც ზამთარში, ისე ზაფხულში, როგორც დილას, ისე საღამოს...

1926 წლიდან აქ აშენდა მთელი რიგი შენობები სანატორიუმები, კლინიკა, ჰიგიენური აბანო, სასტუმრო, კოოპერატივი და სხვადასხვა.

ქუთაისიდან გამოიყვანეს საავტომობილო გზატკეცილი, ააშენეს საცხოვრებელი სახლები, ელექტრო-სადგური და ელექტრონით გაანათეს ქუჩები. გაამშვენიერეს ბაღი, გააკეთეს პარკი, გაიყვანეს არხები და სხვადასხვა.

აგერ, პარკის ირგვლივ ორივე მხარეს რომ დაკარწახებული მუშები მიწას თხრიან და წერაქვებით ხელში ჭიანჭველასავით ერთმანეთში ირევიან, მათი მიზანია, მდნარე წყალტუბო საუკუნეობით შეჩვეულ კალაპოტიდან ამოაგდონ და არხში გაუშვან. იგი აქნამდის პარკს შუაში ჩაუდიოდა, ახლა კი ნაპირებით ნელა გაიპარება

დაბლობისაკენ და თავის ამღვრეულ ცივ ტალღებს ვეღარ შეუერთებს მინერალურ წყლების ნაკადებს. ამნაირად, არხების საშუალებით, აბანოები დაცულ იქნებიან წვიმისა და მდინარის ამღვრეულ ნაკადებისაგან. ამის გამო „გაცდენილი დღეები“ აღარ ჩაიწერება აბანოების სამუშაო დღეებში.

წყალტუბოს ნაპირას, დიდ ქუჩას რომ სოფლის გზა გამოყვება და ალმართისკენ შეუხვევს, მის გვერდით პატარა ტრიალ მინდორზე, ყოველ დღე მახლობელ სოფლებიდან გლეხებს ჩამოაქვთ სანოვაგე და საბანაოთ მოსულნიც აქეთ მიისწრაფიან.

ეს არის მათთვის გასართობი ადგილი.

მომხიბლელია წყალტუბოს ბაზარი შემოდგომით... ტკბილია იგი, აფერადებულია და დამათრობელი...

მოკალათებულ თავშლიან დედაკაცს კალათზე გაუწყვია თეთრ-წითელა კბილებით პირღია, ბროწეულები და იქვე შეუქუჩებია ყვითელი კომშები. ჯამში ჩაუყრია მელანივით შავი ყურწიანი ლეღვები, გამსკდარი ნაპრალით, ქალიშვილის ტუჩებს რომ მოგაგონებთ.

პატარა ბავშს, გაფითრებულს და ფეხშიშველას, ხელში უკავია ჯერ კიდევ მწვანე ფოთლებით შემოფარგლული ყურძნის აკიდოები.

ჭალარით მოსილ, წვერულვაშით გაბარდნილ მოხუცს, დახეულ ჩოხით და ყალიონით ხელში, გვერდით მოუდგამს ხურჯინი, ხოლო ხურჯინში ჩადგმულ დიდი დოქიდან ჩუხჩუხით ამოდის ტკბილი მაჭარი...

არეულ ჯგუფებში დადიან დამსვენებლები და ხან ერთს და ხან მეორე ადგილას შეჩერდებიან. პატარა გო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოს თბილ ჭადსა და ჭყლინტ ყველს გამოართმევენ და იქვე-ზეზეულად მოხუცის მაჭარს ზედ დააყოლებენ...

მოსული ქალები უფრო ტკბილეულობას ეტანებიან და მართლაც ვერსად ვერ იგემებთ ისეთ ლბილსა და თაფლივით ტკბილ ლელვს, როგორც — წყალტუბოში — ქარვასავით ყვითელ ყურძნის აკიდოს, სიტკბოსაგან რომ თითებს წებოსავით ერთმანეთს მიაკრობს, ფელამუშს და ჩურჩხელებს...

გახედავთ ამ არეულ ბაზარს, რომლის მოწყობილობა ორი გრძელი ფარდულითაა შემოფარგლული, გაივლით ატალახიანებულ ბილიკებს და გიკვირთ — რატომ არ არის იგი მოწყობილი უფრო უკეთესად და კულტურულად...

ბაზარი კი ყოველდღე სავსეა ხალხით, მოტანილია დამსვენებელთათვის საჭირო სანოვაგე — ყველი, ჭადი, მწვანილი, მოხარშული ქათამი, ღორის ხორცი, ხილეულობა და სხვა....

აბანოებზე მოსულნი ყოველდღე მიდიან ბაზარზე, მიდამოებს მოივლიან, სტალაქტიურ გვირაბსაც ინახულებენ და ორი კვირის შემდეგ—განკურნებულ დასვენებული, კვლავ საგზაო ავტომობილებით მიჰქრიან ქუთაისისკენ, იქიდან კი ახალი დამსვენებლები—წყალტუბოსაკენ...

## წყალტუბო მოგვავალში

სწრაფი ელექტრო მატარებელი „მოსკოვი — წყალტუბო", გაპრიალებული ფანჯრებით, წყალტუბოს სადგურზე უცბად შეჩერდება. მაღალი, ყვითლად შეღებილი, ელექტრო-მავალი, სირინოზის საყვირით, მიწყნარებულ მიდამოს შეახმაურებს და ბორბლების ტრიალსაც შეაჩერებს.

სადგურის აყირავებული ბაქანი გრძელი ვაგონების ჩრდილებით დაბინდდება. სწრაფად გაღებულ კარებებიდან კალათებით და ჩანთებით მგზავრები ჩამოცვივდებიან. ფაცა-ფუცით და სიჩქარით სადგურს გაივლიან და მის მეორე მხარეს გამწკრივებულ ავტობუსებში, ტრამვაის ვაგონებში და მოტოციკლეტებში სხდებიან, ვინაიდან სადგური აბანოებიდან დაცილებულია ერთი კილომეტრით.

ასფალტით მოკირწყლულ გზატკეცილზე მისრიალებს უცხო სტუმრებით დატვირთული ავტო. ახლა წყალტუბოში სტუმრებად მიდიან, როგორც საბჭოთა კავშირის შორეულ კუთხიდან, ისე საზღვარგარეთის სხვადასხვა კუთხეებიდან და სასტუმრო „ინტერნაციონალის" სამგზავრო გრძელ ავტოში სხედან, როგორც გერმანელი, ისე ფრანგი, ინგლისელი ამხანაგები.

უცხოელმა სტუმრებმა გამოიარეს საბჭოთა ქვეყნების ველები, კოლმეურნეთა მინდვრები, ინდუსტრიალური ქალაქები, და როცა საქართველოში შემოვიდენ და მას მთაგორაკიან მიხვეულებს ჩქარი მატარებლიდან დააკვირდენ, როცა სამეგრელოს დაბლობში სწრაფად მიმავალ მატარებლის ფანჯრებიდან ციტრუსოვან ყვითელ ფერებით შემკულ ბაღნარებს, მანდარინის, ლიმონის, ფორთოხლის და ჩაის ეზოებს თვალი მოჰკრეს—სილამაზის დიადობამ მოიცო მათი ყურადღება. ხოლო გაოცების საზღვარს სცილდებოდა მათი აღტაცება, როცა ხედავდენ ამ, ადამიანის შრომასთან შეერთებულ, ბუნების სიძლიერეს. მატარებელი მიჰქროდა და უკან სტოვებდა შორი-შორს გაფანტულ ფართე ეზოებიან ოდებს, ყანებს, დაბლობებს და რკინის გზის პატარა სადგურებს. ხოლო, როცა ისინი გასწრაფებულ ავტომობილით წყალტუბოს გარს უვლიდენ, როცა მორკალული ასფალტიანი გზა-ტკეცილი შუ-

აში სტოვებდა ხეივნებითა და ბილიკებით დასერილს, თეთრი ბატებივით ჩაქოქებულ აბანოს შენობებს, გვერდზე კი, სამ-ოთხ სართულიან სანატორიუმებს და სასტუმროებს, როცა ისინი ხედავდენ, თუ პატარა თეთრი ქალაქი ორი გაცემენტებული არხით, როგორ ირკალებოდა აბანოების გარშემო, გორაკები და შორეული მთები კი გზის სხივებით გაცისკროვნებული რაგინდ-რა ფერით იღებებოდენ, და ციალობდენ,—უცხოელი სტუმრები აღტაცებისაგან თავს ველარ იკავებდენ და ხმამაღლა გაიძახოდენ: „Aber Colossal Wunderbar schön!.. Genosse, camarades!“.. *) — გაისმოდა უცხოელი ლაპარაკი, უცხოელი სტუმრებისა.

და როცა სტუმრები სასტუმროში მოეწყობიან, როცა მომსახურეობას მათ უცხო ენაზე გაუწევენ, როცა ისინი დაინახავენ გემოიანად მოწყობილ ოთახებს, წესრიგს, სისუფთავეს და სილამაზეს, აღტაცებით მოელიან ქებულ აბანოებში ჩასვლას და თბილი წყლების ლბილ ტალღების შეხებას.

ხოლო აგერ რადიო ალაპარაკდა. იგი ქართულ ენაზე მოუხმობს ახალ მოსულებს, თუ როგორი წესით, რომელ საათზე და რომელ აბანოში ჩავლენ აბანოების მისალებად. იგივეს რადიო გაიმეორებს რუსულ ენაზე, მაგრამ უცხოელ სტუმრების გაოცებას საზღვარი არა აქვს, როცა მათ შემოესმის ფრანგულ ენაზე გადმოცემული წესი და რიგი აბანოების მოხმარებისა.

ახლა წყალტუბო მსოფლიო კურორტია და ყველაფერი, — წარწერები, რადიოს გადაცემა, ლექციები წყალ-

---

*) დიდებულია! საოცნებო სილამაზეა! ამხანაგებო!.. ამხანაგებო!..

ტუბოს წყლების თვისებების შესახებ — სამ ენაზე სრული დაბა — ქართულ, რუსულ და ფრანგულზე.

წყალტუბო მსოფლიო სოციალისტური კურორტია. ყველა მისი ნაკადები უკვე გამოყენებულია და დიდი პარკის ხეივანში გაფანტულია ორმოცამდე აბანო. ახლად აშენებული აბანოები აგებულია ახალი პრინციპით: ავადმყოფი აბაზანაში ჩადის მარტო. თბილი წყალი მის სხეულს ეალერსება სრულ მყუდრეობაში, ხოლო აბაზანის მიღების დროს რადიოთი წყლების მნიშვნელობის შესახებ გადმოცემული ლექციები ატკბობს მის სმენელებას ოცი წუთის განმავლობაში.

ალარ არის კარებში ჭედვა შემჭიდროებული მხრებით, სირბილი და ტანთ გასახდელ ადგილის გამო დავა და ჩხუბი, რადგან ყველას თავისი დრო და ადგილი აქვს მიჩნეული.

დიდ პარკში გაშენებულია ხეივნები, ბილიკები, და გარშემორტყმულია მუდმივ მწვანე ხეებით. ამ ხეებით მოფენილ პარკში ისე მოსჩანს აბანოების თეთრი შენობები, როგორც ტყეში გაფანტული სოკოები.

პარკი ცხენის ნალივით შემორკალულია მდინარე წყალტუბოს ორი არხით და განიერი ფართე გზატკეცილით, დასავლეთის მხრივ, რკინის გზის სადგურზე, ელექტრო-მატარებელი სირინოზის ხმით შეარხევს წყალტუბოს მიდამოს და დიდ გზაზე ამოძრავდებიან ტრამვაის ვაგონები, ავტომობილები, მოტოციკლეტები და ეტლები...

ამავე გზატკეცილების გარშემო გაშენებულია ახალი სასტუმროები, სანატორიუმები, კლინიკები, საცხოვრებე-

ლი სახლები, კოოპერატივები, სასადილოები, რესტორანები და სხვა... პარკში კი, ხეების ტოტების ქვეშ, გაშენებულია საზაფხულო კურზალი.

წყალტუბო — ბროწეულა რკინის გზის გარდა — ქუთაისამდე გაყვანილია ტრამვაის ლიანდაგი და ამით შესაძლებელი ხდება, აბაზანის მიღების შემდეგ, დახურულ თბილ ტრამვაის ვაგონით, ოც წუთში, ჩახვიდე ქუთაისში და კვლავ აბაზანის მისაღებად ამოხვიდეთ იმავე გზით. და ამნაირად არ გააცდინოთ თქვენი სამუშაო დღე ქუთაისში.

კურორტი წყალტუბო პატარა კოხტა ქალაქია და საკურნალოდ მოსული, ავადმყოფებით ახმაურებული, ჭეშმარიტად ინტერნაციონალური კურორტის შთაბეჭდილებას ახდენს, რადგან მოსეირნეთა შორის ლაპარაკი სულ სხვა და სხვა ენაზე მოისმის.

რომელიმე მახლობელ გორაკიდან კურორტს რომ გადახედავთ — იგი ზღაპრულ ქალაქს მოგაგონებს თავისი კრიალა თეთრი და ლაზათიანი შენობებით. ეს სილამაზე ორკეცდება ღამით, როცა ელექტრონის სინათლე უხვად მოეფინება ხეივანს და ტოტების ჩრდილში გამოპარული მისი შუქი ჩუქურთმებად აციალდება თეთრად გატკეცილ ბილიკზე...

ხეივნის სხვადასხვა ნაწილი სხვადასხვა ფერით არის გაბზინებული: ჯგუფი ნაძვის ხეებისა იის ფერით ინაზება, მეორე ადგილი წითელი ფერით გაბრწყინებულა და სხვაგან კიდევ ძლიერი ელექტრონის შუქით გაელვარებულია. ხეივანში მოსეირნეთა სახეები ხან გათეთრდება, ხან გაწითლდება და ხან გაფითრდება.

სანატორიუმები და სასტუმროები რკალად გარს შემორტყმია ნაკადებს. შუაში მომწყვდეულია აბანოს შენობები და ნაძვნარის ხეივნები.

ახლა აბანოთა რიცხვი გამრავლებულია. ოცი ათასამდე მოსული ავადმყოფი იკურნება მის წყლებში და ეს ოცი ათასი ყოველ თვე იცვლება.

კურორტი წყალტუბო ბურთივით ჩაგორებულა დაბლობში და იქ გაშლილა პატარა თეთრ ქალაქად. მაკეტივით ლამაზი, თეთრი შენობებით და მწვანე ხეივნებით დალარული, — ციალობს და კიაფობს მთაგორაკების ლანდშაპტზე.

ერთ დროს გლეხების აბანოთ წოდებული წყალტუბო, ახლა მსოფლიო კურორტად გადაქცეულა, ხოლო კოლმეურნე სოფლის მომუშავეთათვის ცალკე დიდი სახლი აგებულა. ახლაც დიდი უმრავლესობით მოსულან ისინი აბანოებზე და კვლავ, შემოდგომით, ზაფხულის ნამუშევრობის შემდეგ, აქ ისვენებენ და ქარებისაგან იკურნებიან. და ყოფილ გლეხებს ვერაფრით გამოარჩევ ქალაქის მუშისაგან, — ვერც გარეგნობით და ვერც კულტურული დონით.

იგი ახლა წელში გასწორებული, თვალებ გაბრწყინებული, ლაღი და გამარჯვებული, ურმით კი აღარ მოდის წყლებზე, არამედ კოლმეურნეობის ავტომობილით, სოფლური გზებისთვის რომაა შეწყობილი, — ჩამოსვამს მას სოფლის მუშათა სახლის წინ.

მაშინ მას გარს შემოხვევიან თეთრ ტანისამოსში გამოწყობილი მოწყალების დები, ექიმის თანაშემწეები, სანიტარები, ექიმები და გასინჯვისა, საცვლების გამოცვლისა და ლოგინის მიცემის შემდეგ — გაისტუმრებენ მოსაცდელ ოთახში.

აქ თავმოყრილია საქართველოს ყოველ კუთხიდან მოსული კოლმეურნეები — დიდ დარბაზში გამოფენილია წყალტუბოს სხვადასხვა კუთხის სურათები — შენო-

ბები, აბანოები და ხეივნები. აგრეთვე საქართველოს სხვა კურორტების ლანდშაფტები. მოსულები სურათებს ათვალიერებენ, ერთმანეთს ეცნობიან, საუბრობენ...

ხოლო აგერ კუთხეში ზის შუა ხნის კოლმეურნე, ჩამჯდარი კისრით, დაბალი ტანით.,

— სადაური ხარ, ძმობილო?—შეეკითხება მას ერთი მოსულთაგანი. და ტყობილობს, რომ იგი ქართლიდანაა სამკურნალოდ ჩამოსული.

— ერთი ეს მითხარი, შენი ჭირიმე, ე აბანოში როდისღა წავალთ? — შეეკითხება თავის მხრივ ქართლელი.

— აი მალე, რადიოთი შეგვატყობინებენ!. პირველათ ხართ წყალტუბოში?

— პირველათ გახლავართ, შენი ჭირიმე!

— რითი ხარ დაავადებული?

— ქარებით! მომკლა კაცი და გამათავა ამ ტიელმა! მიშველის რამესა ეს წყალტუბო?

— როგორ არა, როგორ არა!... შენ კი არა მისთანები მინახავს აქ კუტათ მოსულები და მორჩენილები, რომ ამას ვერავინ წარმოიდგენდა!

ლაპარაკის დროს უეცრად ჰაერს გააღრვევს საიდანღაც მოვარდნილი რადიოს ხმები. ყველა ყურებს წალურსმავს და გაიგებს, რომ ხუთი წუთის შემდეგ სოფლის მუშათა სახლიდან ავადმყოფები პირველ ნომერ აბანოში წავლენ.

და როდესაც ქართლელი კოლმეურნე აბანოში მივა, ტანთ გაიხდის და ნაკადში ჩაწვება, როცა წყლის ტალღები მის სხეულს ხავერდივით თბილად და ლბილად გარს შემოევლება, როცა ელურტულით ამონადენი ბურთები მკლავებსა და ზურგს მოელუტუნება, სხეულში კი სიამის ჟრჟოლა დაუვლის, — მაშინ ის იგრძნობს რომ ეს წყალი მას უსათუოდ განკურნავს. და შემდეგ, როცა და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაჯერებელი ბარიტონის ხმით რადიოთი გადმოცემული ლექცია, წყალტუბოს წყლების თვისების შესახებ, ასე შეესმის, თითქო ზღაპარს უამბობდეს ვინმე—ის გაიგებს, როგორ უნდა ისარგებლოს აბანოთი, როგორ წესიერად და მშვიდად უნდა იყოს გაწოლილი ზურგზე, რამდენ წუთს უნდა დარჩეს წყალში და სხვა — მაშინ მიხვდება, რომ მის შრომას და ჯაფას ფუჭად არ ჩაუვლია, რომ მისთვისაც ზრუნავს საბჭოთა ხელისუფლება და სასურველ პირობებს უქმნის განსაკურნებლად და დასასვენებლად. დაამებული და თვალებ გაბრწყინებული ამხანაგს გადახედავს და სიამით ეტყვის — „რა კარგია, რა კარგი ცხოვრება, ამხანაგო!..“

კულტურული და ფიზიკური მკურნალობა მის სხეულს აიაზმად ეპკურება.

ხოლო, როცა ოცი წუთის შემდეგ, მას რადიოთი შეატყობინებენ, რომ უკვე დროა აბაზანიდან ამოვიდეს, ტანი შეიმშრალოს და ჩაიცვას — მას განძრევა დაეზარება, თბილ წყალს ველარ მოსცილდება და წაიბურტყუნებს — „რა მალე გავიდა ოცი წუთი ე ვერანაი, ესა!..“

ზლაზვნით აბანოდან მაინც ამოდის, დაჩრდილულ ხეივნით სახლში მიდის და დასასვენებლად თავის ლოგინზე წამოწვება. კვლავ რადიოთი გადმოცემული კონცერტი მის სმენას დაატკბობს, მიუალერესებს და საამო ჰანგებით მიაძინებს.

ერთი საათ ნახევრის შემდეგ მას ზარის ხმა გააღვიძებს და იგივე რადიო ყურში ჩასძახებს —

„ამხანაგებო, ამხანაგებო!... ადექით! სასადილოში ჩამობრძანდით, საუზმე მიირთვით“..

სასადილოს გრძელ მაგიდაზე გაშლილია თეთრი სუფრა და შემომწკრივებულია თეფშებით, კოვზებით და დანაჩანგლით.

სუფრაზე აწყვია — ყველი, კარაქი, ხიზილალა, თეთრი პური, შაქარი, მურაბა, კვერცხი და სხვა.

— რას მიირთმევთ ამხანაგო? — შეეკითხა თავზე მდგარი მოწყალების და.

— რა ვიცი აბა, რასაც მომიტანთ, იმას მივირთმევ!

— არის კაკაო, ყავა, ბივშტექსი, ერბო-კვერცხი და სხვა...

— მოიტა ი რალაც კაკაოა! — უპასუხებს ქართლელი კოლმეურნე და ახლა სავსებით დაკმაყოფილებული, მედიდურად გადახედავს ამხანაგებს.

— საუზმის შემდეგ ექსკურსიაა, ამხანაგო, წამოხვალთ? — ეუბნება მას გვერდში მჯდომი.

— წამოვალ მა რა, აბა რატომაც არ წამოვალ?

თუმცა სიტყვა ექსკურსია მას ვერ გაუგია, ხოლო თუ წასასვლელია სადმე და სხვებიც წავლენ, ის რატომაც ალარ წავა?...

ექსკურსიაზე წასვლისას ყველაზე ძლიერ განცვიფრებული ისევ უცხოელი სტუმრები რჩებიან.

როცა მათ გიდი ჭასავით ამოთხრილ სილრმეში ჩაიყვანს და იქ მიწის ქვეშა მიმდინარე წყალს აჩვენებს, როცა მთის ძირში მიმავალ მდინარეს ანახვებს — მათ გაოცებას საზღვარი არ აქვს.

ხოლო როცა ისინი სტალაქტიურ გამოქვაბულში შევლენ, რომელიც ახლა ელექტრონით არის განათებული და სხვადასხვა ფერის შუშები მარმარილოს ფიგურებს ზღაპრული სილამაზით აშუქებს — მაშინ უცხოელებს კვლავ შეუკავებლათ აღმოხდებათ — „Aber colossal!..“

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

54/
16

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

K 12.686/2